

**საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და
სოციალური დაცვის მინისტრის
ბრძანება №01-8/ნ
2015 წლის 30 მარტი ქ. თბილისი**

**საექიმო სპეციალობათა პროფესიული კომპეტენციების
დამტკიცების შესახებ**

„ჯანმრთელობის დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-15 მუხლის, შესაბამისად, ვბრძანებ:

1. დამტკიცდეს საექიმო სპეციალობათა პროფესიული კომპეტენციები თანდართული დანართების შესაბამისად:

ა) „ანესთეზიოლოგია და რეანიმატოლოგია“ (დანართი 1);

ბ) „ბავშვთა ნევროლოგია“ (დანართი 2);

გ) „გადაუდებელი მედიცინა“ (დანართი 3);

დ) „კარდიოლოგია“ (დანართი 4);

ე) „კლინიკური ონკოლოგია“ (დანართი 5);

ვ) „კლინიკური ტოქსიკოლოგია“ (დანართი 6);

ზ) „ლაბორატორიული მედიცინა“ (დანართი 7);

თ) „ნეონატოლოგია“ (დანართი 8);

ი) „რადიოლოგია“ (დანართი 9);

კ) „საოჯახო მედიცინა“ (დანართი 10).

ლ) „გასტროენტეროლოგია“ (დანართი 11); (15.07.2015 N 01-21/6)

მ) „ნევროლოგია“ (დანართი 12); (15.07.2015 N 01-21/6)

ნ) „პათოლოგიური ანატომია - კლინიკური პათოლოგია“ (დანართი 13); (15.07.2015 N 01-21/6)

ო) „რევმატოლოგია“ (დანართი 14); (15.07.2015 N 01-21/6)

პ) „ორთოპედია-ტრავმატოლოგია“ (დანართი 15);

ჟ) „ფთიზიატრია-პულმონოლოგია“ (დანართი 16). (15.07.2015 N 01-21/6)

რ) „ნეფროლოგია“ (დანართი 17); (11.04.2016 N 01-15/6)

ს) „ფიზიკური მედიცინა, რეაბილიტაცია და კურორტოლოგია“ (დანართი 18); (11.04.2016 N 01-15/6)

ტ) „ფსიქიატრია“ (დანართი 19); (11.04.2016 N 01-15/6)

უ) „ჰემატოლოგია/ტრანსფუზიოლოგია“ (დანართი 20). (11.04.2016 N 01-15/6)

2. საექიმო სპეციალობის პროფესიული კომპეტენცია (შემდგომში - პროფესიული კომპეტენცია) მოიცავს საექიმო სპეციალობის შინაარსს, ექიმის ზოგადი ცოდნის ფარგლებს, დაავადებებისა და მდგომარეობების ჩამონათვალს, ასევე, იმ პრაქტიკულ უნარ-ჩვევებს, რომელთა გამოყენება ნებადართულია პროფესიული კომპეტენციებით განსაზღვრული დაავადებების/მდგომარეობების მართვისას, ამასთან, ცალკეული საექიმო სპეციალობისათვის - გარდამავალი ეტაპის რეგულირებასა და სპეციალიზაციას.

3. საექიმო სპეციალობის სპეციალიზაცია წარმოადგენს ამ სპეციალობის მეორე დამოუკიდებელი საექიმო საქმიანობის სუბიექტის ნებაყოფლობით კომპეტენციას, რომლის ფარგლებში საქმიანობის უფლების მოპოვების საფუძველია საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს პროფესიული განვითარების საბჭოს (შემდეგში - საბჭო) მიერ აკრედიტებული მზადების სათანადო პროგრამის დასრულების დამადასტურებელი დოკუმენტი, რომელსაც გასცემს პროგრამის განმახორციელებელი სუბიექტი. სპეციალიზაციის პროგრამას აკრედიტაცია ენიჭება დარგობრივი პროფესიული ორგანიზაციის რეკომენდაციის საფუძველზე.

4. დამოუკიდებელი საექიმო საქმიანობის სუბიექტს, რომელსაც ამ ბრძანების ამოქმედებამდე გააჩნდა შესაბამისი სპეციალიზაციით მუშაობის არანაკლებ 3 წლის სტაჟი ბოლო 5 წლის განმავლობაში, აღნიშნული სპეციალიზაციით საქმიანობის უფლება, შესაბამისი დარგობრივი ორგანიზაციის რეკომენდაციის საფუძველზე, ენიჭება საბჭოს მიერ.

5. საექიმო სპეციალობის კომპეტენციით დადგენილი გარდამავალი ეტაპის რეგულირებით განსაზღვრულ სპეციალიზაციის კურსს დარგობრივი პროფესიული ორგანიზაციის რეკომენდაციის საფუძველზე, აკრედიტაციას ანიჭებს საბჭო.

5¹. სპეციალიზაციის პროგრამისა და საექიმო სპეციალობის კომპეტენციით დადგენილი გარდამავალი ეტაპის რეგულირებით განსაზღვრული სპეციალიზაციის კურსის გავლა შესაძლებელია აკრედიტებულ სამედიცინო დაწესებულებაში/სასწავლებელში (მ.შ. აფილირებულ/ქვეკონტრაქტორ დაწესებულებაში), რომელშიც მიმდინარეობს მზადება შესაბამისი დიპლომის შემდგომი განათლების (პროფესიული მზადების)/სარეზიდენტო პროგრამის ფარგლებში. (11.04.2016 N01-15/6)

6. სპეციალიზაციის პროგრამ(ებ)ის, ასევე, გარდამავალი ეტაპის რეგულირებით განსაზღვრული სპეციალიზაციის კურს(ებ)ის განმახორციელებელი დაწესებულებები ვალდებული არიან, მიაწოდონ საბჭოს ინფორმაცია პროგრამ(ებ)ის/კურს(ებ)ის ფარგლებში მომზადებული დამოუკიდებელი საექიმო საქმიანობის სუბიექტების შესახებ (სახელის, გვარის, პროგრამის/კურსის დასახელების, პირადი ნომრის მითითებით) პროგრამის/კურსის დასრულებიდან 10 სამუშაო დღის ვადაში.

7. საბჭო აწარმოებს რეესტრს, რომელშიც მოიცავს:

ა) ინფორმაციას ყველა იმ დამოუკიდებელი საექიმო საქმიანობის სუბიექტის შესახებ, რომელთაც სპეციალიზაცია მიენიჭათ საბჭოს მიერ ან გაიარეს სპეციალიზაციის შესაბამისი პროგრამა;

ბ) ინფორმაციას ყველა იმ დამოუკიდებელი საექიმო საქმიანობის სუბიექტის შესახებ, რომელთაც გაიარეს გარდამავალი ეტაპის რეგულირებით განსაზღვრული სპეციალიზაციის კურსი.

8. დამოუკიდებელი საექიმო საქმიანობის სუბიექტს სპეციალიზაციით საქმიანობის უფლება ეძლევა მზადების სათანადო პროგრამის დასრულების დამადასტურებელი დოკუმენტის მიღების/ საბჭოს მიერ შესაბამისი უფლების მინიჭებისთანავე.

9. დამოუკიდებელი საექიმო საქმიანობის სუბიექტს გარდამავალი ეტაპის რეგულირებით განსაზღვრული სპეციალიზაციით საქმიანობის უფლება ეძლევა შესაბამისი კურსის დასრულების დამადასტურებელი დოკუმენტის მიღებისთანავე.

10. ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა
და სოციალური დაცვის მინისტრი

დავით სერგეენკო

„საოჯახო მედიცინა“

1. სპეციალობის დასახელება - „საოჯახო მედიცინა“.

2. სპეციალობის შინაარსი:

„საოჯახო მედიცინა“ აკადემიური და სამეცნიერო დისციპლინაა საკუთარი საგანმანათლებლო ბაზით, კვლევებით, სამეცნიერო მტკიცებულებებით და კლინიკური საქმიანობით. საოჯახო მედიცინა არის პირველად ჯანდაცვაზე ორიენტირებული კლინიკური სპეციალობა.

3. ზოგადი ცოდნა:

ოჯახის ექიმის, როგორც სპეციალისტის ზოგადი კომპეტენცია (ცოდნა, უნარ-ჩვევები, დამოკიდებულება) ექვს მთავარ კომპეტენციას ეფუძნება:

- ა) პირველადი სამედიცინო დახმარების მართვა;
- ბ) პიროვნებაზე ორიენტირებული სამედიცინო დახმარება;
- გ) პრობლემის გადაჭრის სპეციფიკური უნარ-ჩვევები;
- დ) ყოვლისმომცველი მიდგომა;
- ე) თემზე ორიენტაცია;
- ვ) ჰოლისტიკური მოდელირება (ბიო-ფსიქო-სოციალური მოდელის გამოყენება კულტურული და ყოფითი ფაქტორების გათვალისწინებით).

4. დაავადებები და მდგომარეობები:

ICD 10	დაავადებები და მდგომარეობები	საქმიანობის მოცულობა
J00 - J99	სასუნთქი სისტემის დაავადებები	<ul style="list-style-type: none"> - სამედიცინო-პროფილაქტიკური განათლება და ჯანმრთელობის დამკვიდრება ორივე სქესისა და ყველა ასაკის პაციენტებში; - პირველადი (მ.შ. იმუნიზაცია), მეორეული (მ.შ. სკრინინგი), მესამეული პრევენცია; - დაავადებების დიაგნოსტიკა და მართვა კლინიკური სიმპტომო-კომპლექსისა და აუცილებელი, მინიმალური ინსტრუმენტული გამოკვლევების საფუძველზე; - დაავადებების გართულებების მართვა - პირველადი დახმარება; - ქრონიკული დაავადებების მართვა; - პაციენტისათვის ლაბორატორიული და ინსტრუმენტული გამოკვლევების ჩატარების საჭიროების შეფასება და ანალიზის შესასრულებლად სათანადო ლაბორატორიაში პაციენტის დროული მიმართვის ხელშეწყობა; - პაციენტის ლაბორატორიაში, სპეციალისტთან, ჰოსპიტალში, სათემო და სოციალურ სამსახურებში გაგზავნის საჭიროების შეფასება და დროული მიმართვისა და მისი (და/ან სათანადო ინფორმაციის) უკან დაბრუნების შემთხვევაში - მეთვალყურეობისა და მკურნალობის უზრუნველყოფა; - პაციენტების ფიზიკური და ფსიქოლოგიური რეაბილიტაცია; - პალატიური მოვლა; გარდაცვლილი პაციენტის ოჯახის წევრებისა და ახლობლების კონსულტირება და ფსიქოლოგიური მხარდაჭერა; - ურგენტული სამედიცინო დახმარების უზრუნველყოფა გადაუდებელი მდგომარეობების დროს.

		<ul style="list-style-type: none"> - ქრონიკული დაავადებების მართვა; - პაციენტისათვის ლაბორატორიული და ინსტრუმენტული გამოკვლევების ჩატარების საჭიროების შეფასება და ანალიზის შესასრულებლად სათანადო ლაბორატორიაში პაციენტის დროული მიმართვის ხელშეწყობა; - პაციენტის ლაბორატორიაში, სპეციალისტთან, ჰოსპიტალში, სათემო და სოციალურ სამსახურებში გაგზავნის საჭიროების შეფასება და დროული მიმართვისა და მისი (და/ან სათანადო ინფორმაციის) უკან დაბრუნების შემთხვევაში - მეთვალყურეობისა და მკურნალობის უზრუნველყოფა; - პაციენტების ფიზიკური და ფსიქოლოგიური რეაბილიტაცია; - პალიატიური მოვლა; გარდაცვლილი პაციენტის ოჯახის წევრებისა და ახლობლების კონსულტირება და ფსიქოლოგიური მხარდაჭერა; - ურგენტული სამედიცინო დახმარების უზრუნველყოფა გადაუდებელი მდგომარეობების დროს.
Q00 - Q99	თანდაყოლილი ანომალიები, დეფორმაციები და ქრომოსომული დარღვევები	<ul style="list-style-type: none"> - პირველადი (მ.შ. იმუნოზაცია), მეორეული (მ.შ. სკრინინგი), მესამეული პრევენცია; - დაავადებების დიაგნოსტიკა და მართვა კლინიკური სიმპტომო-კომპლექსისა და აუცილებელი, მინიმალური ინსტრუმენტული გამოკვლევების საფუძველზე; - დაავადებების გართულებების მართვა - პირველადი დახმარება; - ქრონიკული დაავადებების მართვა; - პაციენტისათვის ლაბორატორიული და ინსტრუმენტული გამოკვლევების ჩატარების საჭიროების შეფასება და ანალიზის შესასრულებლად სათანადო ლაბორატორიაში პაციენტის დროული მიმართვის ხელშეწყობა; - პაციენტის ლაბორატორიაში, სპეციალისტთან, ჰოსპიტალში, სათემო და სოციალურ სამსახურებში გაგზავნის საჭიროების შეფასება და დროული მიმართვისა და მისი (და/ან სათანადო ინფორმაციის) უკან დაბრუნების შემთხვევაში - მეთვალყურეობისა და მკურნალობის უზრუნველყოფა; - პაციენტების ფიზიკური და ფსიქოლოგიური რეაბილიტაცია; - პალიატიური მოვლა; გარდაცვლილი პაციენტის ოჯახის წევრებისა და ახლობლების კონსულტირება და ფსიქოლოგიური მხარდაჭერა; - ურგენტული სამედიცინო დახმარების უზრუნველყოფა გადაუდებელი მდგომარეობების დროს.
S00 - T98	ქირურგიული პრობლემები და ტრავმები, მოწამვლები და გარეგანი მიზეზების ზემოქმედების ზოგიერთი სხვა შედეგი	<ul style="list-style-type: none"> - პირველადი (მ.შ. იმუნოზაცია), მეორეული (მ.შ. სკრინინგი), მესამეული პრევენცია; - დაავადებების დიაგნოსტიკა და მართვა კლინიკური სიმპტომო-კომპლექსისა და აუცილებელი, მინიმალური ინსტრუმენტული გამოკვლევების საფუძველზე; - დაავადებების გართულებების მართვა - პირველადი დახმარება; - ქრონიკული დაავადებების მართვა; - პაციენტისათვის ლაბორატორიული და ინსტრუმენტული გამოკვლევების ჩატარების საჭიროების შეფასება და ანალიზის შესასრულებლად სათანადო ლაბორატორიაში პაციენტის დროული მიმართვის ხელშეწყობა; - პაციენტის ლაბორატორიაში, სპეციალისტთან, ჰოსპიტალში, სათემო და სოციალურ სამსახურებში გაგზავნის საჭიროების შეფასება და დროული მიმართვისა და მისი (და/ან სათანადო ინფორმაციის) უკან დაბრუნების შემთხვევაში - მეთვალყურეობისა და მკურნალობის უზრუნველყოფა; - პაციენტების ფიზიკური და ფსიქოლოგიური რეაბილიტაცია; - პალიატიური მოვლა; გარდაცვლილი პაციენტის ოჯახის წევრებისა და ახლობლების კონსულტირება და ფსიქოლოგიური მხარდაჭერა; - ურგენტული სამედიცინო დახმარების უზრუნველყოფა გადაუდებელი მდგომარეობების დროს.
Z00- Z99	ფაქტორები, რომლებიც მოქმედებს ჯანმრთ. მდგომარეობაზე და დაკავშირებულია სამედიცინო დაწესებულებებში მიმართვიანობასთან	<ul style="list-style-type: none"> - ნებისმიერი პრობლემით სამედიცინო დაწესებულებაში მომართვის დროს მომსახურების გაწევა დოკუმენტში აღნიშნული კომპეტენციის ფარგლებში, მ.შ. ოჯახის ექიმის მიერ განსაზღვრული სამედიცინო საჭიროებების შესაბამისად, კონსულტირება, მეთვალყურეობა, რეფერალი, საკონსულტაციო ფორმების, ცნობების, მიმართვებისა და რეცეპტების გაცემა.
ქალთა ჯანმრთელობა		
N60-N64	სარძევე ჯირკვლების	<ul style="list-style-type: none"> - შემდეგი სიმპტომების ამოცნობა და შეფასება: მკერდის ტკივილი, სიმაგრე მკერდში, გამონადენი დვრილიდან, ვულვის ქავილი, გამონადენი საშუოდან, დისპარუნია,

	ავადმყოფობები	<p>ტკივილი მენჯის არეში, ამენორეა, მენორაგია, დისმენორეა, ინტერმენსტრუალური, არარეგულარული, პოსტმენოპაუზური სისხლდენები, პრე-მენსტრუალური სინდრომი, მენოპაუზა და მასთან დაკავშირებული პრობლემები, უშვილობა, დიზურია, შარდის შეუკავებლობა, ფეკალური შეუკავებულობა, ემოციური პრობლემები, დეპრესიის სიმპტომების ჩათვლით.</p> <ul style="list-style-type: none"> - დიფერენციული დიაგნოზის გატარება. - პრევენციული ღონისძიებების განხორციელება. - გავრცელებული სამედიცინო-გინეკოლოგიური სინდრომების მკურნალობა, საჭიროების შემთხვევაში, შესაბამის სპეციალისტთან თანამშრომლობის საფუძველზე.
N70-N77	ქალის მენჯის დრუს ორგანოების ანთებითი ავადმყოფობები	<p>ორსულობისათვის მზადება: კონტრაცეპტივების შეწყვეტა, ფოლიუმის მჟავას გამოყენება, ოჯახური და გენეტიკური ანამნეზი, ცხოვრების წესი და ა.შ.</p> <ul style="list-style-type: none"> - ნორმალურ ორსულობაზე დაკვირვება და ორსულობასთან დაკავშირებული პრობლემების დროული ამოცნობა და, საჭიროებისას, რეფერალი. - პრევენცია ორსულობის დროს: ჯანმრთელობისათვის ხელშეწყობა, სოციალური და კულტურული ფაქტორები, რისკფაქტორები და თანმხლები დაავადებების მართვა. - ამოცნობა და მართვა შესაბამის სპეციალისტთან თანამშრომლობის საფუძველზე:
N80-N98	ქალის სასქესო სისტემის არაანთებითი ავადმყოფობები	<p>სექსუალური დარღვევები, ფსიქო-სექსუალური მდგომარეობების ჩათვლით; ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემები, შფოთვის, დეპრესიის, სუიციდის, კვების აშლილობის ჩათვლით, ამ აშლილობების კავშირი ორსულობასა და მენოპაუზასთან; მენოპაუზის მართვა, ჩანაცვლებითი ჰორმონული თერაპიის ჩათვლით; ოსტეოპოროზის რისკის შეფასება, სკრინინგი და მართვა.</p> <ul style="list-style-type: none"> - ტკივილის და სხვა სიმპტომების მართვა, პალიატიური მზრუნველობა ქალებში.
O00 - O99	ორსულობა, მშობიარობა და ლოგინობის ხანა	<p>სექსუალური დარღვევები, ფსიქო-სექსუალური მდგომარეობების ჩათვლით; ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემები, შფოთვის, დეპრესიის, სუიციდის, კვების აშლილობის ჩათვლით, ამ აშლილობების კავშირი ორსულობასა და მენოპაუზასთან; მენოპაუზის მართვა, ჩანაცვლებითი ჰორმონული თერაპიის ჩათვლით; ოსტეოპოროზის რისკის შეფასება, სკრინინგი და მართვა.</p> <ul style="list-style-type: none"> - ტკივილის და სხვა სიმპტომების მართვა, პალიატიური მზრუნველობა ქალებში.
Z30	რეპროდუქციული ჯანმრთელობა	<ul style="list-style-type: none"> - პაციენტის კონსულტირება ოჯახის დაგეგმვის, სამედიცინო გენეტიკისა და სამედიცინო სექსოლოგიის პრობლემების შესახებ. - ზოგადი რჩევები და რეკომენდაციები კონტრაცეპციის შესახებ. - დაკვირვება კონტრაცეპციული საშუალებების გამოყენებაზე.
ბავშვთა და მოზარდთა ჯანმრთელობა		
ყველა ზემოთჩამოთვლილი დაავადების კოდი	ყველა ზემოთჩამოთვლილი დაავადება	<ul style="list-style-type: none"> - ბავშვის ფსიქო-ფიზიკური განვითარების შეფასება და ნორმიდან ნებისმიერი გადახრის დროული ამოცნობა. - კონსულტირება შემდეგ საკითხებზე: ძუძუთი კვების ხელშეწყობა, დედათა და ბავშვთა ჯანმრთელობის დამკვიდრება, მოზარდების სამკურნალო-პროფილაქტიკური განათლების გაუმჯობესება. - ახალშობილთა პრობლემები: სამშობიარო ტრავმის შემდეგომი პერიოდი, კვების პრობლემები, გულის შუილები. რესპირატორული ინფექციები, ბრონქიოლიტი; შუა ყურის ანთება; გასტროენტერიტი; ვირუსული ეგზანთემა; მენინგიტი; სამარდო გზების ინფექცია; ეპილეფსია; ქრონიკული დაავადებები: ასთმა, დიაბეტი, ართრიტი, სწავლის პრობლემები; სენსორული დეფიციტი, სიყრუე; ფსიქიკური პრობლემები; ძალადობა. - ყურადღების დეფიციტისა და ჰიპერაქტივობის სინდრომი, დეპრესია, კვების აშლილობა. - წამალთდამოკიდებულება, თვითდაზიანება, აუტიზმი და მასთან დაკავშირებული დარღვევები. - ფსიქოლოგიური პრობლემები: ენურეზი, ენკოპრეზი, "დამინება", პრობლემები სკოლაში, ქცევის პრობლემები "ტანტრუმის" ჩათვლით. - ძუძუთი კვება, ჯანსაღი კვება და ფიზიკური აქტიურობა. - მოზარდების დაცვა ნადრევი სქესობრივი ცხოვრების დაწყებისგან და მასთან დაკავშირებული პრობლემებისგან. - ბავშვთა და მოზარდთა ტრავმატიზმის პრევენცია, იმუნოხაცია, თამბაქოსა და ნარკოტიკული ნივთიერებების მოხმარების საწინააღმდეგო ღონისძიებები; ნადრევი ორსულობის პრევენცია. - ბავშვთა და მოზარდთა ჯანმრთელობის იმ გავრცელებული პრობლემების მკურნალობა, რომლებიც ხშირად გვხვდება პირველად ჯანდაცვაში. საჭიროების დროს - მიმართვა პირველად ჯანდაცვაში დასაქმებულ პროფესიონალებთან და მეორე დონის სპეციალიზებულ სამსახურებში.
გერიატრიული პრობლემების მართვა		
ყველა ზემოთჩამოთვლილი დაავადების კოდი	ყველა ზემოთჩამოთვლილი დაავადება	<ul style="list-style-type: none"> - იმ გავრცელებული დაავადებების მართვა, რომლებიც გვხვდება ხანდაზმულებში და რომელთა მართვა წარმოებს პირველადი ჯანდაცვის დონეზე; სამკურნალო პროტოკოლების გამოყენების ჩათვლით.
გადაუდებელი სამედიცინო დახმარება		
ყველა	ყველა	<ul style="list-style-type: none"> - სიცოცხლისათვის საშიში და გადაუდებელი მდგომარეობების ამოცნობა და

ზემოთჩამოთვლილი დაავადების კოდი	ზემოთჩამოთვლილი დაავადება	<p>გადაუდებელი დახმარების ორგანიზება.</p> <ul style="list-style-type: none"> - იმ გადაუდებელი მდგომარეობების მკურნალობის პრინციპების ცოდნა და უნარ-ჩვევების ფლობა, რომელთა მართვა ხდება პირველადი ჯანდაცვის დონეზე, სამკურნალო პროტოკოლების ჩათვლით. - კარდიო-პულმონური რეანიმაციის ტექნიკა, ინტრავენური გადასხმების ჩატარება (ცენტრალური ვენების კათეტერიზაციის ჩათვლით), ჭრილობების პირველადი ქირურგიული დამუშავება ტრავმების, მოტეხილობების შემთხვევაში და სატრანსპორტო იმობილიზაციის ტექნიკა; გადაუდებელი დახმარება თერმული და ქიმიური დამწვრობების შემთხვევაში. - გადაუდებელი კარდიოლოგიური, პედიატრიული, ფსიქიკური, სამეანო-გინეკოლოგიური, ნევროლოგიური, ქირურგიული ოფთალმოლოგიური, ლარინგოლოგიური და ენდოკრინოლოგიური მდგომარეობების მართვა.
---------------------------------	---------------------------	--

5. სავალდებულო პრაქტიკული უნარ-ჩვევები:

ა) ოჯახის ექიმს უნდა შეეძლოს შემდეგი ჩარევების/კვლევების ინტერპრეტაცია:

- ა.ა) სისხლის საერთო ანალიზი (მ.შ. ჰემატოკრიტის);
- ა.ბ) სისხლის ბიოქიმიური (ლიპიდური პროფილი, კრეატინინი, შარდოვანა, ელექტროლიტები, მიკროელემენტები და სხვ.) გამოკვლევები;
- ა.გ) კოაგულოგრამა;
- ა.დ) სისხლის ჯგუფები და რეზუს-ფაქტორი;
- ა.ე) შარდის საერთო ანალიზი; შარდში კრეატინინი და შარდოვანა ;
- ა.ვ) ძვლის ტვინის ციტოლოგიური, ჰისტოლოგიური და ციტოგენეტიკური კვლევის შედეგები;
- ა.ზ) სისხლში ვიტამინი B12 და ფოლიუმის მჟავა;
- ა.თ) შრატში რკინისა და ფერიტინის ტესტი;
- ა.ი) გორგლოვანი ფილტრაცია;
- ა.კ) ამილაზას გამოკვლევა სისხლსა და შარდში;
- ა.ლ) ღვიძლის ფუნქციური მდგომარეობის ლაბორატორიული მაჩვენებლები;
- ა.მ) ჰეპატიტები (A,B,C) ვირუსოლოგიური კვლევები;
- ა.ნ) განავლის საერთო ანალიზი (მ.შ. მიკრობიოლოგიური, პარაზიტოლოგიური და ციტოლოგიური);
- ა.ო) იმუნოლოგიური, სეროლოგიური, ვირუსოლოგიური, ბაქტერიოლოგიური კვლევების შედეგები;
- ა.პ) ონკომარკერების კვლევის შედეგები;
- ა.ჟ) ჰორმონული გამოკვლევების შედეგები;
- ა.რ) ბიოფსიური მასალის, პუნქტატის/ნაცხის ციტოლოგიური და ჰისტომორფოლოგიური კვლევები;
- ა.ს) სპერმის ანალიზი;
- ა.ტ) PAP-ტესტი;
- ა.უ) პლანმის (შრატის) გლუკოზის განსაზღვრა;
- ა.ფ) გლიკირებული (გლიკოზირებული) ჰემოგლობინი HbA1c პლანმაში;
- ა.ქ) გლუკოზისადმი ტოლერანტობის ტესტის ჩატარება ვენურ პლანმაში;
- ა.ღ) შარდით ალბუმინის ექსკრეციის განსაზღვრა;
- ა.ყ) ბეტა კაროტინის განსაზღვრა;
- ა.შ) შარდის ანალიზი კეტონებზე, მიკროსკოპია და კულტურა;
- ა.ჩ) C-პეპტიდის, ინსულინის განსაზღვრა;

- ა.ც) შარდმჟავა მარილების ექსკრეციის განსაზღვრა;
- ა.ძ) რადიოლოგიური (მათ შორის კონტრასტული) კვლევის შედეგები;
- ა.წ) ენდოსკოპიური გამოკვლევების დასკვნები;
- ა.ჭ) ულტრაბგერითი გამოკვლევების შედეგები;
- ა.ხ) პულსოქსიმეტრიის მაჩვენებლები;
- ა.ჯ) არტერიული სისხლის გაზების, მჟავა-ტუტოვანი წონასწორობისა და ელექტროლიტური ბალანსის მაჩვენებლები;
- ა.ჰ) სპირომეტრიული გამოკვლევის შედეგები;
- ა.ჰ1) ნახველის გამოკვლევის (მ.შ. კულტურა, მგრძნობელობა) შედეგები;
- ა.ჰ2) პლევრის პუნქტატის ციტოლოგიური, ბიოქიმიური მაჩვენებლები;
- ა.ჰ3) დატვირთვის ტესტი;
- ა.ჰ4) კორონარული ანგიოგრაფია;
- ა.ჰ5) ჰოლტერ-მონიტორირების შედეგები;
- ა.ჰ6) გულის ელექტროფიზიოლოგიური გამოკვლევის შედეგები;
- ა.ჰ7) კუჭის წვენის ლაბორატორიული კვლევის მონაცემები;
- ა.ჰ8) ნაყოფის ულტრაბგერითი გამოკვლევების შედეგები;
- ა.ჰ9) კოლპოსკოპია;
- ა.ჰ10) აპგარის შკალის შეფასები; ახალშობილთა ვიტალური ფუნქციების მონიტორინგი; კონიუნქტივიტის პრევენცია; B ჰეპატიტის საწინააღმდეგო ვაქცინაცია; BCG ვაქცინაცია; სკრინინგის მნიშვნელობა ფენილკეტონურიასა და ჰიპოთირეოზზე;
- ა.ჰ11) სინოვიალური სითხის მორფოლოგიური, მიკრობიოლოგიური და ბიოქიმიური კვლევა;
- ა.ჰ12) ტვინის ელექტროფიზიოლოგიური გამოკვლევა;
- ა.ჰ13) რევმატოიდული ფაქტორის, Anti-Cyclic Citrullinated Peptide ანტისხეულები, ანტინუკლეარული ანტისხეულების კვლევის შედეგები;
- ა.ჰ14) ძვლის დენსიტომეტრია;
- ა.ჰ15) ბინოკულარული არაპირდაპირი ოფთალმოსკოპია;
- ა.ჰ16) ელექტროკულოგრაფიის, ელექტრორეტინოგრაფიის შედეგები;
- ა.ჰ17) ფოტოსკრინინგის შედეგები;
- ა.ჰ18) გონიოსკოპია;
- ა.ჰ19) სკიასკოპია;
- ა.ჰ20) ოფთალმოლოგიური ფუნქციონალური ტესტები;
- ა.ჰ21) რეფრაქციის შეფასება (ლენზომეტრია, კერატომეტრია, რეტინოსკოპია, რეფრაქცია, ციკლოპლეგიური რეფრაქცია);
- ა.ჰ22) აუდიომეტრია;
- ა.ჰ23) კანის ტუბერკულის ალერგიული ტესტის შედეგების შეფასება და ინტერპრეტაცია;
- ა.ჰ24) BCG-ს ვაქცინაციის ტესტის შედეგების შეფასება და იმუნიზაციის შედეგების ინტერპრეტაცია.
- ბ) ოჯახის ექიმს უნდა შეემდოს შემდეგი ჩარევების/კვლევების შესრულება:

- ბ.ა) სრულყოფილი ფიზიკური გასინჯვა, მათ შორის, დათვალიერება და გასინჯვა გადაუდებელი მდგომარეობის დროს;
- ბ.ბ) ოტოსკოპია;
- ბ.გ) რინოსკოპია;
- ბ.დ) ფარინგოსკოპია;
- ბ.ე) ოფთალმოსკოპია, ფუნდოსკოპია გუგის გაგანიერების გარეშე;
- ბ.ვ) ელექტროკარდიოგრაფია გადაღება;
- ბ.ზ) სერიული პიკ-ფლოუმეტრიის გამოყენება და მონაცემების დღიურში შეტანა;
- ბ.თ) სხვადასხვა ტიპის ინჰალატორის (ნებულაიზერის, სპეისერის) გამოყენება და სწავლება პაციენტისთვის;
- ბ.ი) გიდ–ის მაღალი რისკის, და რისკის კატეგორიების განსაზღვრა გულ-სისხლძარღვთა დაავადებების აბსოლუტური რისკის შეფასების ინსტრუმენტით (ფრემინგემი, score და სხვ.);
- ბ.კ) შარდის ჩხირით ანალიზი (2–10 პარამეტრი);
- ბ.ლ) სისიხლის აღება, ნიმუშის მომზადება რეფერალურ ლაბორატორიაში გასაგზავნად;
- ბ.მ) საერთო ქოლესტერინის განსაზღვრა;
- ბ.ნ) გლუკოზის დონის განსაზღვრა პერიფერიულ სისხლში გლუკომეტრით;
- ბ.ო) ჰემოგლობინის განსაზღვრა ჰემოგლობინომეტრით;
- ბ.პ) ჰემოგლობინის განსაზღვრა განავალში (ფეკალური ოკულტური ტესტი);
- ბ.ჟ) ორსულობის დადგენა ტესტით;
- ბ.რ) ნაცხის აღება ბაქტერიოლოგიური და ციტოლოგიური გამოკვლევებისათვის;
- ბ.ს) Chlamydia & Neisseria gonorrhoeae (NAA) განსაზღვრა (უროტესტით);
- ბ.ტ) სიფილისის - სწრაფი ტესტი (Plasma Reagin (RPR));
- ბ.უ) ნაზოგასტრალური ზონდირება, ზონდით კვება;
- ბ.ფ) შარდის ბუშტის კათეტერიზაცია;
- ბ.ქ) სწორი ნაწლავის გასინჯვა თითით;
- ბ.ღ) წინამდებარე ჯირკვლის და სათესლეების გასინჯვა;
- ბ.ყ) სარძევე ჯირკვლების გასინჯვა;
- ბ.შ) გარეგანი სამეანო გასინჯვა, მენჯის ორგანოების გასინჯვა, ბიმანუალური ვაგინალური და რექტოვაგინალური გამოკვლევა, გამოკვლევა სარკის დახმარებით; საშვილოსნოს ზომის, მდებარეობისა და მობილურობის შეფასება და მენჯის ღრუს ორგანოების მდგომარეობის ნორმიდან გადახრის ამოცნობა;
- ბ.ჩ) ვაგინალური და ცერვიკალური ნაცხის აღება ციტოლოგიური გამოკვლევებისათვის;
- ბ.ც) ორსულის მდგომარეობის შეფასება;
- ბ.ძ) ნაყოფის გულისცემის მოსმენა და შეფასება;
- ბ.წ) პლაცენტის მდებარეობის შეფასება;
- ბ.ჭ) ახალშობილის პირველადი ჰიგიენური ღონისძიებების ჩატარება; ჭიპლარის ტაკვის მშრალი მოვლა, ან დამუშავება (საჭიროების შემთხვევაში);
- ბ.ხ) ახალშობილის ანთროპომეტრია და მონაცემების შეფასება;
- ბ.ჯ) იმუნოზაცია;
- ბ.ჰ) დიაბეტური ტერფის შეფასება/მოვლა;
- ბ.ჰ¹) მინი–მენტალური ტესტის შესრულება და ინტერპრეტაცია;
- ბ.ჰ²) დეპრესიის შემოკლებული ხუთპუნქტიანი ტესტის ჩატარება და ინტერპრეტაცია;
- ბ.ჰ³) ინსულტის განვითარების რისკის შეფასება ინსტრუმენტის გამოყენება – ABCD₂;

- ბ.34) FAST (Face Arm Speech Test - სახე-ხელი-მეტყველების ტესტი) ტესტის ჩატარება;
- ბ.35) ამოვარდნილობის კორექცია; სატრანსპორტო იმობილიზაცია კიდურების ძვლებისა და ხერხემლის დაზიანების შემთხვევაში;
- ბ.36) მხედველობის ორგანის გასინჯვა: მხედველობის სიმახვილის განსაზღვრა; მხედველობის ველის გამოკვლევა; თვალის მამოძრავებელი ფუნქციის გამოკვლევა; ფერებზე შეგრძნების შეფასება; გუგების შეფასება; წითელი რეფლექსის შეფასება; რქოვანას სინათლის რეფლექსი;
- ბ.37) დაფარვის ტესტი;
- ბ.38) თვალის ტონომეტრია;
- ბ.39) სმენის სიმახვილის შეფასება ბავშვებში, მოზრდილებსა და ხანდაზმულებში; ჰაეროვანი და ძვლოვანი გამტარებლობის შეფასება;
- ბ.310) მცირე ქირურგიული მანიპულაციები: ჭრილობის პირველადი დამუშავება, ჭრილობის სანაცია, ზედაპირულ ჭრილობაზე ქირურგიული ნაკერების დადება, ნაკერების მოხსნა, ინფილტრაციული ანესთეზია (გამტარებლობითი და ბუდობრივი), ჭრილობის შეხვევა, სისხლდენის შეჩერება;
- ბ.311) კანის ტუბერკულოზის ალერგიული ტესტის ჩატარება;
- ბ.312) BCG-ს ვაქცინაციის ჩატარება ტექნიკურად;
- ბ.313) DOT მკურნალობით უზრუნველყოფა და სტანდარტული მოკლევადიანი ქიმიოთერაპიის კურსის მონიტორინგი და მართვა ამბულატორიულ დონეზე;
- ბ.314) ხანდაზმულთა ფუნქციური მდგომარეობის შეფასება ტესტებით: მობილურობის შეფასება, ყოველდღიური საქმიანობის დამოუკიდებლად შესრულების უნარის შეფასება, დაცემის რისკის შეფასება, მხედველობის, სმენის, დეპრესიის, სოციალური იზოლაციის შეფასება, ფსიქიკური მდგომარეობის შეფასება, ნუტრიციული სტატუსის შეფასება სკრინინგები ანემიაზე, ჰიპერტენზიაზე და სხვ.;
- ბ.315) სასიცოცხლო ფუნქციების შეფასება; ინტრავენური გადასხმების ჩატარება;
- ბ.316) ძირითადი სასიცოცხლო ფუნქციების შენარჩუნება, კარდიოპულმონური რეანიმაცია;
- ბ.317) ელექტროდეფიბრილატორის გამოყენება.